პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 17 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 108 (806) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## „არა ხუთი მილიონი, არამედ ათი მილიონი“!

დღე არ გადის ისე, რომ რადიომ არ მოგვიტანოს ცნობა გამხეცებული რეაქციის ახალი ვერაგობაზე. დახვრეტა, სახრჩობელა, ციხე, წამება—აი რა დაუშინა მან პროლეტარიატს და მის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას. მის სიმხეცეს არ უჩანს საზღვარი.

ის ძვირად უჯდება ევროპის მუშათა კლასს იმ რევოლიუციონურ გამოსვლებს, რომელიც ჩაიდინა მან დაწყებული 1918 წლიდან ვიდრე დღემდი. სისხლის ტბაში სურს ბურჟუაზიას ჩაახრჩოს რევოლიუცია. და აი სწორედ დღეს ისე როგორც არასოდეს, ევროპის კომპარტიებს მართებთ იშვიათი რევოლიუციონური სიმტკიცის დაცვა თავის რიგებში. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს რეაქციის ამობოქრებული ტალღა, კომპარტია მას სალი კლდეთ უნდა დახვდეს. ერთ წუთსაც არ უნდა შედრკეს ის. ამ შემთხვევაში მისთვის საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს რუსეთის კომუნისტური პარტიის სახელოვანი ისტორია. ცხადია კომუნისტური მოძრაობა გამხეცებულ რეაქციასთან ბრძოლაში აუარება მსხვერპლს გასწევს. მისი დანაკლისი განუზომელია და მომავალშიც დიდი იქნება.

მაგრამ მიუხედავათ ამისა საბოლოო გამარჯვება კომპარტიის მხარეზე იქნება. ამის გარანტიას მას აძლევს მთელი ქვეყნის მუშათა კლასის სოლიდარობა და განუყრელი ძმობა.

როგორც არასოდეს, დღეს დასავლეთის რევოლიუციონერები უნდა გრძნობდენ ამ საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას.

როგორც არასოდეს დღეს მათთვის საჭიროა მატერიალური და მორალური დახმარების გაწევა.

„რემედასის“ როლი დღეს განუზომლად გაიზარდა. ამ დიდმა ორგანიზაციამ ერთი ორად უნდა გააჩაღოს თავისი მუშაობა.

ამ ჟამად მოსკოვში გაიხსნა „რემედასის“ სრულიად საკავშირო ყრილობა. ამხ. ზინოვიევმა ამ ყრილობაზე წამოისროლა ლოზუნგი „არა ხუთი მილიონი, არამედ ათი მილიონი წევრი „რემედასის“-ო“. ვისთვისაც ძვირფასია პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საქმე, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლება მსოფლიო კაპიტალის ბჭყალებისაგან, მისი წმინდა მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს „რემედასის“ გაძლიერებას და ამ ლოზუნგის წარმატებით განხორციელებას.

ევროპის რეაქცია აღრჩობს რევოლიუციას.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა პირდაპირი მოვალეობაა არ დაუშვას ეს და თავისი ენერგიული მატერიალური და ზნეობრივი დახმარებით წელი გაუმაგროს მებრძოლ პროლეტარიატს და მის ბელადს კომუნისტურ პარტიას.

ჩვენი წითელ ჯარის ნაწილებში არსებულ „რემედასის“ უჯრედებს უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება და ყოველმხრივ გაცხოველებულ იქმნას მათი მუშაობა.

„რემედასის“-ს მუშაობის გაფართოებაში და გაძლიერებაში წითელმა ჯარმაც უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა.

წითელ არმიამაც უნდა მისცეს თავის რიგებიდან „რემედას“ს აქტიური ძალების ახალი კადრი!

გავაძლიეროთ რემედასი! ამით ხელს შეუწყობთ საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვების საქმეს.

## სრულიად საკავშირო რემედასის ყრილობა.

### ყრილობა მოუწოდებს მსოფლიო მშრომელთ კაპიტალისტების ჯალათების წინააღმდეგ.

15 მაისს გაიხსნა სრულიად საკავშირო რემედასის ყრილობა. ყრილობას დაესწრო 200 მეტი დელეგატი.

ყრილობა გახსნა ლეპეშინსკიმ, რომელმაც გააკეთა მოკლე მოხსენება რემედასის მუშაობის შესახებ. ყრილობამ გახსნისას პატივი სცა ფეხზე ადგომით რევოლიუციის ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ლეპეშინსკი, სმეკინი, კუშნერი, ფირსოვი, ჩუიკოვი, ბოგუტსკი, დომბალი, ლუნაჩარსკი, ფელიქსკონი და სხვა.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ლუნაჩარსკიმ, რომელმაც ხაზი გაუსვა რემედასის როლს მუშათა მოძრაობაში.

მქუხარე ტაშით შეხვდა ყრილობა ზინოვიევის გამოსვლას, რომელიც არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

„რუსეთის რევოლიუციონერებმა ათეულ წლების განმავლობაში დიდი მძიმე პირობები განიცადეს, მაგრამ ევროპის ქვეყნების კომუნისტებს კიდევ უფრო ძნელი გზა აქვთ გასავლელი. საკმარისია თვალი გადაევლოს, თუ რა ხდება დღეს გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, იტალიაში და სხვაგან. ხვალ სოფიაში დასჯიან ბულგარეთის თეთრგვარდიელთა ტყვეებს. ცარიზმი აწარმოებდა საჯარო დასჯას 50 წლის წინად. კულტურული ევროპა ასეთ სასჯელს მიმართავს 1925 წელში“.

შემდეგ მომხსენებელი ხაზს უსვამს, თუ რა იმედს ამყარებს კომინტერნი რემედასზე, რომელსაც ის სთვლის თავის უმთავრეს რგოლად.

დასასრულ ყრილობამ მიიღო მოწოდება მთელი ქვეყნის მშრომელთადმი, რომლებსაც მიმართავს ხმა აღიმაღლონ ჯალათების წინააღმდეგ და დაიფარონ უდანაშაულო მსხვერპლთა სიცოცხლე.

## სრულიად საკავშირო საბჭოთა მე-3-ე ყრილობა.

### ამხ. დზერჟინსკის მოხსენება 15 მაისის დილის სხდომაზე.

### მრეწველობის სწრაფი ზრდა.

15 მაისს დილის სხდომაზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დზერჟინსკიმ.

„ჩვენი მრეწველობის სწრაფი ზრდა—განაცხადა მან—დაიწყო 1924 წლის მეორე ნახევრიდან და გაძლიერდა უკანასკნელ ნახევარ წელში. ჩვენი მრეწველობა ავიდა 70 პრ. ომამდე არსებულთან შედარებით.

ბურჟუაზია წინასწარმეტყველებდა ჩვენი მრეწველობის დაღუპვას, მაგრამ მუშებისა და გლეხების მჭიდრო, დაურღვევმა კავშირმა იმედი გაუცრუა მათ.

**ელექტროფიკაცია** ჩვენში გაცილებით ძლიერია დღეს, ვიდრე ეს ომამდი იყო.

**ლითონის მრეწველობა** ჩვენში დაწყებულ იქნა 1922 წელში და ამ მომენტიდან ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. ორი წლის განმავლობაში ის ერთი-ორად გაიზარდა და 1924 წლის ბოლოს გაუსწორდა ომამდე არსებულის ნახევარს.

**ელექტროტეხნიკური მრეწველობა** უფრო სწრაფად ვითარდება, ვინემ ლითონის მრეწველობა, რაიც აიხსნება ელექტროფიკაციის გაფართოებით.

**ქიმიურ მრეწველობას** დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ვინაიდან მისი ომამდე არსებული განვითარების დონეც კი ვერ დააკმაყოფილებს მომწიფებულ მოთხოვნილებას.

**საქსოვი მრეწველობა** გლეხობასთან ქალაქის დაახლოების მთავარი მაჩვენებელია. 1921 წელში ეს მრეწველობა უდრიდა ომამდე არსებულის 25 პროც., მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ის ავიდა 63 პროც. და განაგრძობს შეუჩერებლივ განვითარებას.

**სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა** სრულიად განადგურებულ იქნა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროს და მხოლოდ 1923 წლიდან იწყება მისი სწრაფი აღორძინება. ამ მრეწველობის განვითარება მოითხოვს სოფლის მეურნეობის გადასვლის დაჩქარებას ტეხნიკურ კულტურებზე. ეს პროცესი უკვე დაიწყო და თუ ხელს შეუწყობთ ამ მრეწველობას, მისი განვითარება უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

**მრეწველობის შემოსავალი გაიზარდა.** 1924 წლის 9 თვის განმავლობაში მრეწველობამ მიიღო 90 მილიონი მან. წმინდა მოგება. საქონლის ჩქარი ტრიალი ისეთ მდგომარეობას ჰქმნის, რომ რამდენათაც ჩვენ ვუკლებთ ფასებს, მით უფრო ვმდიდრდებით. ეს არ ესმით კაპიტალისტებს, რომლებიც მდიდრდებიან მხოლოდ ფასების აწევით“.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ძირითად კაპიტალს, ფასების პოლიტიკას, საქონლის დაახლოებას მომხმარებელთან, აღნიშნა შრომის ნაყოფიერება და გადავიდა შრომის ხელფასზე, სადაც დაახასიათა შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად ხელფასის განმტკიცება, რაიც გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ზრდით გამოწვეულმა საქონლის შედარებით გაიაფებამ. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ტეხნიკურ ძალებთან ურთიერთობაზე და განაცხადა:

„ჩვენ უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება ტეხნიკასა და ტეხნიკურ პერსონალს. ჩვენში ტეხნიკურ ძალებთან ურთიერთობაში დარჩენილია ერთგვარი უარყოფითი ნაშთი. ჩვენ კიდევ უყურებთ მათ, როგორც დაქირავებულებს. ეს ნაშთი ძირბუდიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი, ვინაიდან მოაზროვნე და მეცნიერი ადამიანები შეპყრობილი არიან ჩვენი სახელმწიფოს დიდი აღმშენებლობით და წარმოადგენენ ჩვენს ნამდვილ ამხანაგებს მუშაობაში.

**ძირითადი პირობა—ეს არი გეგმიანი მუშაობა.** ამოცანების ასასრულებლად აუცილებელია ეს პირობა, რომლისგანაც გამომდინარეობს ყველაფერი დანარჩენი.

**მუშებისა და გლეხებას კავშირის სიმტკიცე გამარჯვების თავდებია.** თუ ამ ტემპით წავა ყველა ეროვნებათა მუშებისა და გლეხების კავშირის გაძლიერება, იმ შემთხვევაში ჩვენ უმტკივნეულოდ ავასრულებთ ყველა ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას. ჩვენ გავძლიერდებით და გავიმარჯვებთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულია მრავალი მტერი.

### კამათი დზერჟინსკის მოხსენების გარშემო.

დზერჟინსკის სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც გამოდიოდენ უმთავრესად მუშები დაზგიდან. კამათში მონაწილეობა მიიღო უკრაინის დეპუტატმა იაკუბამ, საქართველოს საორთქლ მავალი დეპოს მუშამ ბარბაქაძემ, იეევის ქარხნის მუშამ კაჩეროვმა, ბელორუსიის მუშა ქალმა ოსმოლოვსკაიამ, მუშა ქიმიკოსმა სამარის გუბერნიიდან სამსონოვმა და სხვებმა. ყველა ეს მუშები პირველად მონაწილეობენ საკავშირო საბჭოთა ყრილობის მუშაობაში. უბრალოა მათი სიტყვა, მაგრამ ამოღებული მწარმოებელ მუშის ყოველდღიურ ცხოვრებიდან და ეხებიან ჩვენი მრეწველობის განვითარებას ძირითად საკითხებს.

მუშათა საბინაო აღმშენებლობის შესახებ ილაპარაკა სხვათაშორის სამსონოვმა, რომელმაც განაცხადა: „მუშათა კლასმა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მიიღო სრული თავისუფლება, მაგრამ ეკონომიურად თავისუფლება კიდევ კოჭლობს.“

კამათი გაგრძელებულ იქნა საღამოს სხდომაზე, რომლის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა დზერჟინსკიმ.

## მიმართვა წითელი ფლოტისა და კომკავშირისადმი.

გამოცხადებულია ლენინურ ახკომკავშირის ცეკას მიმართვა მთელ წითელ ფლოტისა და კომკავშირისადმი:

„15 მაისს წითელი საზღვაო ფლოტი მიდის საზაფხულო ცურვისათვის. ეს დღე დიდი დღესასწაულია ჩვენთვის, ვინაიდან ის ნიშნავს დიდ გამარჯვებას სახელოვანი წითელი ფლოტის აღმშენებლობის საქმეში.

ლენინურ ახკომკავშირის ცეკა ესალმება წითელ მეზღვაურებს და დარწმუნებულია, რომ ჩვენი ქვეყნის წითელი ფლოტის აღმშენებლობა წავა ისეთივე წარმატებით მთელი კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის დახმარებით“.

## ხმები ჩემბერლენის გადადგომის შესახებ.

ლონდონში მყოფი „კაპიტალის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ ლონდონში გავრცელებულია ხმები ჩემბერლენის მოსალოდნელ გადადგომის შესახებ,—ვინაიდან კონსერვატორული პარტიის უმეტესობა უარყოფითად უყურებს ჩემბერლინის პოლიტიკასო.

## მუშებმა გაიმარჯვეს.

ბელგიის ნახშირის მრეწველებმა დაადგინეს დაუკლონ სამუშაო ხელფასს. ამის გამო ბელგიის სამთო-მადნო მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვების გამოცხადება.

შემდეგათ ნახშირის მრეწველებმა დაადგინეს არ დაუკლონ სამუშაო ხელფასს 1-ლ იანვრამდი.

# სამხედრო საქმე

**მილიციონური აღმშენებლობის მოკლე ისტორია საბჭოთა კავშირში.**

40 წლის უკან, გერმანელი სამხედრო მწერალი—გენერალი ფონ-დერ-ჰოლცი მილიციონურ აღმშენებლობის შესახებ რუსეთში სწერდა:

„იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ძალა-უფლება ვერ არის საკმარისად განმტკიცებული და სადაც ეშინიათ აჯანყებების, ასეთი ორგანიზაცია (მილიციონური არმია), მიუხედავად თავისი უპირატესობისა, არ შეიძლება შემოღებულ იქნას, ვინაიდან ის იძლევა იარაღს, რომელიც საჭირო დროს მიმართულ იქნება მთავრობის წინააღმდეგ".

შემდეგ ის ამბობს: „რუსეთი (რასაკვირველია, მეფის) არ შეადგენს არც პოლონეთში და არც ამიერ-კავკასიაში კორპუსებს ადგილობრივი ახალწვეულებითა და ოფიცრებით."

ამ სიტყვებით გერმანელმა სამართლიანად განსაზღვრა ის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს, სადაც ეროვნული შუღლი სწეწს ქვეყანას, არას დროს არ შეუძლიათ შექმნან მილიციონური არმია.

საბჭოთა ხელისუფლებამ სწორად გადაჭრა ეროვნული საკითხი და დაისახა მიზნად (ჯერ კიდევ რკპ-ს (ბ) მე-8-ე ყრილობაზე 1919 წ.) **კლასობრივ მუშურ-გლეხური არმიის შედგენა.**

ასეთ არმიას,—რომელიც აგებულია მუშებისა და მშრომელი გლეხების სავალდებულო სწავლების საფუძვლებზე, ყოველდღიურ შრომასთან დაახლოებულ პირობებში, ეწოდება მილიციონური არმია.

1919 წელში რკპ-ს (ბ) მერვე ყრილობის მიერ წამოყენებული ამოცანის განხორციელება არ მოხერხდა და მილიციონური არმიის შედგენა გადადებულ იქნა რამოდენიმე ხნით.

ამის მიზეზი იყო ის გარემოება, როცა საბჭოთა რესპუბლიკას ყოველი მხრიდან თავს დაესხნენ თეთრ-გვარდიელი გენერლები (კოლჩაკი, დენიკინი და სხვები).

ამ დროს მთელი ყურადღება მიქცეული იყო ძირითადი (კადრის) წითელი არმიის შექმნისა და განმტკიცებისაკენ.

რეგულიარულ წითელი არმიის შექმნასთან ერთად სწარმოებდა ადგილებში მუშაობა მუშებისა და გლეხების საყოველთაო სწავლების საქმეში. ხოლო 1922 წლის აპრილში შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო სწავლება.

1920 წლის მარტში და აპრილში რკპ-ს (ბ) მე-9-ე ყრილობამ ანგარიში გაუწია ფრონტებზე შექმნილ გარემოებას (კოლჩაკი და სხვები ამ დროს უკვე დამარცხებული იყვენ) და ნახა, რომ საჭირო იყო გაძლიერებია მეურნეობის აღორძინება, მაგრამ იმავე დროს უნდა შეენახა სრული საბრძოლო მზადება მოსალოდნელ მტერზე პასუხის გასაცემად. საჭირო იყო არმია, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებ უნდა ყოფილიყო მოწყვეტილი მშვიდობიან შრომას. ასეთ არმიად აღმოჩნდა იგივე მილიციონური არმია, რომლის შედგენესაც თანდათანობით შეუდგა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ ამას ხელი შეუშალა 1920 წ. ომმა თეთრებსა და პოლონელებთან.

1921 წელი ჩატარდა ბრძოლით სხვა და სხვა ბანდებისა და აჯანყებების წინააღმდეგ, რამაც კიდევ შეუშალა ხელი მილიციონური არმიის სისტემაზე გადასვლას. შემდეგ დაწყებულ იქნა წითელი არმიის რეორგანიზაცია. და მხოლოდ 1923 წელში (საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით 1923 წლის 8 აგვისტოდან) დაწყებულ იქნა ჩვენი წითელი დივიზიების ერთი ნაწილის გადაყვანა მილიციონურ საფუძვლებზე (ტერიტორიალური დივიზიები).

ი. ბარ.

## სასროლო სწავლება საზანაკო პერიოდში.

სასროლო სწავლების საბოლოო მიზანია: ერთის მხრივ მეომართა მუშაობის გაუმჯობესება თავის განყოფილებისა და მწყობრის შემადგენლობაში, მეორეს მხრივ მეთაურთა შემადგენლობაზე პრაქტიკის მიცემა თავისი ნაწილის ცეცხლის წარმოებაში ნამდვილ საბრძოლო პირობების მსგავს გარემოებაში.

ეს ამოცანა სრულდება არა ერთბაშად. ზამთრის პერიოდში მეომრები გაეცვნენ დაწყებითი სროლას საბრძოლო ვაზნებით; ეხლა კი საზაფხულო პერიოდის დაწყებისთანავე შ ე უ დ გ ე ბ ი ა ნ. **პრაქტიკულ სროლას.**

ეს სროლა დანიშნულია იმისათვის, რათა შეაჩვიოს მეომარი საბრძოლო მიზნის შემუსვრას ყოველგვარ გარემოებაში; ჯერ განსაზღვრულ და შემდეგ განუსაზღვრელ (მოულოდნელ) მანძილზე.

სროლა პირველად სწარმოებს ადგილიდან, შემდეგ გადარბენის შემდეგ, გაზის საწინააღმდეგო საშუალებაში და სხვა. პირველად უმოძრაო მიზნებში, შემდეგ სწრაფად დამწოლ, შემდეგ მოკლე დროით გამოჩენილ მიზნებში და სხვა.

ერთი სიტყვით ვარჯიშობა პრაქტიკულ სროლაში სდგება სასროლო სხვადასხვა ნაირად მაგრამ ისე, რათა სწავლება სწარმოებდეს თანდათანობითი წესით, ადვილიდან რთულზე გადასვლით.

პრაქტიკულ სროლის გარდა, ხანგამოშვებით სწარმოებს **ცალკეული საბრძოლო სროლა** მთელი წლის განმავლობაში.

მსროლელი თავის განყოფილების შემადგენლობაში დამოუკიდებლად სჭრის საბრძოლო ამოცანებს, აწარმოებს ცალკეულ ცეცხლს თოფით და უთანხმებს თავის მოქმედებას, ამხანაგებისას. აქ მსროლელს მოუხდება ადგილის დაზვერვა, ადგილის ამორჩევა სროლისთვის, მიზნის მოძებნა და მისი შეფასება, მანძილის განსაზღვრა მიზნამდი, განუწყვეტელი თვალყურის დევნება ბრძოლის ველზე, თავის დროზე და მარჯვედ გასროლა; ამას გარდა ყოველ წუთში უნდა იცოდეს რამდენი ვაზნა დარჩა, როგორ უნდა შეივსოს ვაზნები და სხვა.

ასე რომ მსროლელს ასწავლიან ყოველივე იმას, რის გაკეთებაც მას მოუხდება ნამდვილ საბრძოლო გარემოებაში.

ბოლოს, სასროლო საქმის უმთავრესი განყოფილება მომავალი ზაფხულის სწავლებაში, ეს არის **ს. ბრძოლო სროლა ნაწილებით.** მაგრამ სან. ეს სროლა დაიწყებოდეს, საჭიროა ამისთვის წინასწარ კარგი მომზადება.

ეს მომზადება მდგომარეობს სანიმუშო სასროლო და საბრძოლო სროლის სწავლების ჩატარებაში.

ამ მიზნისათვის ინიშნება უფრო მომზადებული ნაწილი (განყოფილება ან მწყობრი) გამოცდილ მსროლელებისა და მეთაურებისაგან.

ეს სანიმუშო სწავლება და სროლა ტარდება მოსწავლეთა თვალწინ. სანიმუშო სწავლების გათავების შემდეგ სწარმოებს ყველა დამსწრეებისაგან სწავლებისა და საბრძოლო სროლის გარჩევა.

ამრიგად, მომავალ ზაფხულში, სასროლო სწავლებას სერიოზული ყურადღება მიექცევა, ხოლო თუ ამას მიუმატებთ კიდევ საბრძოლო გრანატების ტყორცნის სწავლებას, ცხადი შეიქნება, რომ სასროლო მომზადება წარმოადგენს სწავლების მეტად საყურადღებო და სერიოზულ განყოფილებას. ყველა მეომრები უნდა მოემზადონ და იცოდნენ მათ, რომ თუ რა უნდა გააკეთონ ზაფხულში, რათა სწავლების ჩატარების დროს ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩენ.

პ.

# უცხოეთის არმიებში.

**ვაზნების მისაწოდებელი საშუალება.**

უცხოეთის არმიებში, სხვა მრავალ ტეხნიკურ გაუმჯობესებასთან ერთად, შემოიღეს ვაზნების მისაწოდებელი საბარგულეც.



როგორც ეტყობა ეს ადვილებს ვაზნების ჩქარს, უხვად და თავის დროზე მიწოდების საქმეს. აი ამ საბარგეულეს სურათიც.

**სამი სამხედრო ჰაეროპლანი ერთში.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დაამთავრეს 35 „C. S." ტიპის ჰაეროპლანების აგება.

მათ ძლიერ ბევრი აქვთ საერთო დუგლასის ჰაეროპლანის კონსტრუქციასთან, რომელზედაც მოაწყვეს დედამიწის ირგვლივ ფრენით შემოვლა.

„C. S." ტიპის ჰაეროპლანის მშვენივრად შეუძლია შეასრულოს ყუმბარ მზიდავის სამარი მუშაობა, საჰაერო ნაღმოსნისა და დაცილებული ადგილების დამზვერავის როლი.

ფრთების გამოკლებით ის მთლიანად აგებულია ფოლადისა და დურალიუმინისაგან.

ჰაეროპლანზე დადგმულია ორი ტყვიამფრქვევი, მიმღები და გადამცემი რადიო სადგური, ფოტოგრაფიული კამერა და ღამით ფრენის დროს გასანათებელი ფარნები.

ფრთების გამხსობა უდრის 56 მეტრს, მისი სიმაღლე 11 და ს გრძე 34 ფუტს. ფრენის უდიდესი სიჩქარე საათში აღწევს 180 კილომეტრამდე.

ეს ძლიერ მსუბუქი ჰაეროპლანია, რომელზედაც იმყოფება ძლიერი მოტორი. იწონის 4.000 გირვანქას და თავის სიმძიმეზე გაცილებით უფრო მეტი ტვირთის წაღება შეუძლია.

ჰაეროპლანი ისეა აგებულ[i] რომ შეეძლოს დიდი ხნის გა[nმავლობაში] ფრენა. მისი მოქ[მედების] რადიუსი უდრის სამ[ას] ათას ხუთას კილომეტრს.

ორშაბათს, მაისის 18-ს საღამოს სრულ 6 საათზე, ტფილისის ალმასკომში მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა.

1) კომუნალურის (ალმასკომის დარბაზში)

**დღის წესრიგი.**

1) მოხსენება ტრამვაის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

2) საფინანსოსი (ოთახი № 17)

**დღის წესრიგი.**

1) საფინანსო განყოფილების მუშაობის მომავალი გეგმა.
2) სექციის წევრთა მიმაგრება რაიონულ ფინ-ინსპექტორებთან.
3) მიმდინარე საკითხები.

3) განათლების (ოთახი № 32),

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.
2) მოხსენება ბიუროს მუშაობის გეგმის შესახებ.
3) სექციის წევრთა შორის მუშაობის განაწილება.
4) სექციის წევრთა მიმაგრება დაწესებულებებთან.
5) მიმდინარე საკითხები.

4) ჯანმრთელობის (ოთახი № 57).

**დღის წესრიგი:**

1) სექციის ბიუროს დებულების შესახებ.
2) დედათა და ბავშვთა დამცველი ქვე სექციების მუშაობის შესახებ.
3) სექციის წევრების დაწესებულებებზე მიმაგრების შესახებ.
4) საკურორტო ქვე სექციის ახალ წევრების დამატებით გაძლიერების შესახებ.
5) საფთიაქო ქვე სექციის შესახებ.
6) მიმდინარე საკითხები.

5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (ოთახი № 66).

**დღის წესრიგი:**

1) მომავალი მუშაობის გეგმა.
2) კომისიების დაარსება.
3) სოფლად ვეტერინალური დახმარება.
4) მიმდინარე საკითხები.

6) სამხედროსი (ოთახი № 5).

**დღის წესრიგი:**

1) სექციის მუშაობის მომავალი გეგმა.
2) საინფორმაციო მოხსენება საინჟენერო დისტანციის უფროსის.
3) სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ პირთა წარმომადგენლის მოხსენება.
4) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროზე სავალდებულოა. საბჭოს წევრები, რომელნიც არ ჩაწერილან არც ერთ სექციაში, ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლად ამავე დღეს.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი **ალ. რუხაძე.**

# ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები.

**ლ ა ტ ვ ი ა**

ლატვია მდებარეობს ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე; უკავია 65.000 კვ. კილომეტრი არე. ეხლანდელი ლატვიის სახელმწიფო შესდგება სრულიად კურლიანდიის გუბერნიისაგან, რიგის, ლიფლიანდიის გუბერნიის ვალკსკის, ვენდენის და ვოლმარის მაზრებისაგან; ვიტებსკის რამოდენიმე მაზრისაგან და სრულიად ე. წ. ლატმალიისაგან.

ლატვია საზღვაო სახელმწიფოა. მისი საზღვრები ზღვით უდრის 519 კილ. ხმელეთით საზღვრავს საბჭოთა რუსეთი, ესტონია, პოლონეთი და ლიტვა. ლატვიის ასეთი მდებარეობა ძლიერ ხელსაყრელია მისთვის, რადგან, ხელს უწყობს საერთო ვაჭრობას, და, კერძოდ, სატრანზიტოს. ომამდე ლატვიაში ითვლებოდა 2.500.000 სული მცხოვრები, ომის შემდეგ კი დადავიდა 1.500.000 სულამდე. შემდეგ კი თანდათან მატულობს. ამ ქვეყნის უდიდესი ცენტრია ქ. რიგა (300 ათასი). ლატვიის ძირითადი მოსახლეობა—ლატიშები უდრის 73 პროც.; ისინი ამ მხარეს უძველეს დროიდან დასახლდენ. მათი რომელიმე რასისადმი მიკუთვნება ძნელია, ეს ნათლად არ არის გამორკვეული; ყოველ შემთხვევაში, ისინი სლავიანები არ არიან. უახლოვდებიან ინდო-ევროპიულ რასას. მოსახლეობის 10 პროც. რუსები, ნემეცები 7 პროც. და ებრაელები 6 პროც. საინტერესო ცნობებს იძლევა ქვევით მოყვანილი ციფრები ლატვიის მოსახლეობის პროფესიონალურად განაწილების შესახებ.

მუშაობენ:

სასოფლო მეურნეობაში 79,8 პროც.

მრეწველობაში 6,6 პროც.

ვაჭრობაში და ტრანსპორტზე 3 პროც.

ოჯახის მოსამსახურე 2,1 პროც.

მოხელეები, თავის. პროფესიისდა სხვები 1,6 პროც.

დანარჩენნი 6,9 პროც.

აქედან ცხადია, რომ ეს ქვეყანა $^{4}/_{5}$ სასოფლო მეურნეობის მხარეა. მაგრამ მისი სოფლის მოსახლეობა არ არის ერთგვარი, სოციალურ შემადგენლობის მხრივ. ის, ეხლა, ნაწილდება შემდეგ ძირითად ჯგუფებზე: მსხვილი და საშუალოს გლეხობა, რომელიც დაქირავებულ შრომით სარგებლობს, 30 პროც., წვრილი გლეხობა 46 პროც. და „ბატრაკები" 24 პრო.

**სახელმწიფოებრივი წყობილება და პარტიები**

1922 წლის 15 თებერვალს ლატვიის დამფუძნებლ კრებამ მიიღო კონსტიტუცია. ლატვია აღიარებულია დემოკრატიულ რესპუბლიკათ. პარლამენტში შედის 100 წევრი; არჩევნები სწარმოებს პირდაპირ და საერთო ხმის მიცემით. ვადა 3 წელი.

პარტიების რიცხვი ადის 14-მდე. ამ ჟამად სახელმწიფოს ხელმძღვანელობს გლეხთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა კულაკურ ელემენტებს, და დახმარება აქვს ქალაქის ბურჟუაზიისაგან. რიცხვობრივ, ცალკე დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატები მეტი არიან ვიდრე რომელიმე პარტია, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობენ. არსებული მთავრობის მემარჯვენეობა გამოიხატება აგრარულ საკითხის მოგვარებაში. ამ საკითხში არსებული მდგომარეობა ძლიერ ხელსაყრელია კულაკურ გლეხობისათვის. უმეტესობა გლეხობისა კი დარჩა უმიწოდ. მთავრობა ამ კით[ხვას] სწავლობს და უთუო[დ] მანამდის. სანამ თვით უმიწ[ო] გლეხობა არ გადასწყვეტს მა[ს]. ლატვიაში საშინელი თეთრ[ი] ტერორი მძინვარებს; კომპარ[ტია], დღიდან რესპუბლიკ[ის] დაარსებისა, არალეგალუ[რ] პირობებშია, მეორეს მხრივ კ[ი] მთავრობის დახმარებით, ფაშის[ტური] ორგანიზაციები დღით დღე იზრდებიან.

ლატვიის მუშები უმუშ[ევ]რობის და სიძვირის გამო იხო[ცებიან], როდესაც ყოველ ჯ[ურ]ის სპეკულიანტებით სავს[ე] რიგის კაბარე და ძვირფასი კ[აფ]ეები.

**ურთიერთობა საბჭოთ[ა] რუსეთთან.**

ესტონიის მაგალითზე ყველ[ა] მოსაზღვრე სახელმწიფოებ[მა] მოინდომეს ჩვენთან სავაჭრ[ო] ურთიერთობის დამყარება, რ[ა]დგან აშკარა იყო მისი მოგ[ე]ბიანი შედეგები.

დიდი დავა გამოიწვია საზ[ღ]ვრების საკითხმა. ამ საკით[]ხში ჩვენ მათ არ დაუთმე[თ], სამაგიერო ეკონომიურ სფერო[]ში ჩვენ ბევრი შეღავათები მ[ი]ვეცით. საზავო ხელშეკრულ[ე]ბა დაიდო ქ. რიგაში 192[0] წელს.

(გაგრძელება იქნება.)

ნ.

# პარტიული ცხოვრება.

## სამხედრო პოლიტიკური სკოლის კომუჯრედის საქმიანობიდან.

15 მაისს შესდგა პოლიტსკოლის კომუჯრედის სხდომა, რომელმაც მოისმინა კურსანტების მოხსენების თანახმად შედგენილი პოლიტ-განყოფილებაში წარსადგენი მოხსენება სოფლის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება საკმაოდ ვრცელია და აღნიშნავს სოფლის ცხოვრების ყოველგვარ დეფექტებს.

იგი ეხება სოფლის პარტიულ ამხანაგებს, გლეხკომებს, კომკავშირს, კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას, სკოლას და სხვა. ნაჩვენებია აგრეთვე პრაქტიკული ზომები ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად.

კურსანტები გამოსთქვამენ იმედს, რომ მათი ხმა მიაღწევს მიზანს და მიღებულ იქნება ყოველივე ზომები იმ უარყოფითი მოვლენების, აღმოსაფხვრელად, რომლებიც მათ შეამჩნეს სოფლის ცხოვრებაში.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება მე-14 პარტკონფერენციის შედეგებზე.

მოხსენებამ გამოიწვია ბევრი შეკითხვები.

ამ ჟამად კურსანტები მეტად არიან დაინტერესებული გაზეთებით.

მიეჩვივნენ გაზეთების ჯგუფ-ჯგუფად კითხვას და შემდეგ მართევა ბაასი ამა თუ იმ საკითხის გარშემო.

კარგი იქნება, რომ განხორციელდეს კომუჯრედის დადგენილება, „პოლიტმიმოხილვის" მოწყობის შესახებ ოთხშაბათობით.

პარტკორი ე. ხუციშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის
## მეექვსე ლეგიონის ცხოვრებიდან.

(გაგრძელება)

უკანასკნელ ხანებში ლეგიონის კლუბში ახკომკავშირის აქტივის მიერ მოწყობილ იქნა ქიმ-მეგობართა საზოგადოების" კუთხე, რომელიც გაშუქებულ გამშვენიერებულია სხვადასხვა სურათ-პლაკატ-ლოზუნგებით. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ კომკავშირელების ...ი პროცენტი ჩაბმულია ზემოხსენებულ საზოგადოებების ყოველგვარ მუშაობაში.

მუშაობის პროცესში დისციპლინის დარღვევას, რაც გამოიხატება სამსახურისადმი გულგრილობაში, პარტ-დავალებების არ ასრულებაში და სხ. ადგილი არ ჰქონია.

კომკავშირელებს კარგათ აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა და ყოველთვის დაუზარებლათ მუშაობენ ნაწილის სათანადო დონეზე დასაყენებლათ.

ლეგიონში არსებული თითეული ჯგუფი დაკავშირებულია კომკავშირის სამოქალაქო უჯრედებთან. 1-ლ ჯგუფზე მიმაგრებულია ქალაქის წყალსადენის ა. ლ. კ. კ. უჯრედი, მე-2-ე ჯგუფზე—ცეკავშირის ბრეშუმის საქსოვი ქარხნის უჯრედი და მესამე ჯგუფზე კი ...ელოვის მაზარკომის უჯრედის. ნაწილების ჯგუფებსა და ხსენებულ უჯრედთა შორის იწვევა გაერთიანებული კრებები, ეცნობიან ურთიერთ მუშაობას, ატარებენ შეერთებული ძალით ყოველგვარ კამპანიებს და სხ.

ლეგიონის კომკავშირის ჯგუფის წარმომადგენელი შედის ...იუროს წევრათ სამოქალაქო კომკავშირის უჯრედში. სამოქალაქო ორგანიზაციიდანაც მიმაგრებულია კომკავშირის ჯგუფებზე თითო ამხანაგი.

გაზეთებისა და ლიტერატურით მომარაგების საქმის თავის დონეზე დასაყენებლათ არ კმარა მარტო გაზ. „სპარტაკის" მიღება. საჭიროა სხვა გაზეთებიც და სათანადო ლიტერატურა. ნაწილში აუცილებლად საჭიროა ჟურნალი „აქტივისტი", გაზეთი „იუნოშესკაია პრავდა" და სხ.

საკორესპონდენციო საქმე კარგათაა დაყენებული. თითეულ კომკავშირის ჯგუფთან გამოყოფილი არის ახკორი, რომლებიც თანამშრომლობენ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთებში. კედლის გაზეთები სპეციალურათ კომკავშირის ჯგუფებში არ გამოდის. ლეგიონის კედლის გაზეთებში დათმობილი არის კომკავშირის განყოფილება, სადაც შუქდება ლეგიონის კომკავშირელთა ყოფა-ცხოვრება, ყოველგვარი სიჭირ-ბოროტო კითხვები და სხ.

ლეგიონის საბიბლიოთეკო და საკლუბო მუშაობაში ჩაბმულია კომკავშირელეთა 90 პროც-ზე მეტი.

პარტ-განათლების სკოლებში მიზიდულია კომკავშირელების 40 პროც. დანარჩენი 60 პროც. კომკავშირლებისა ჩაბმულია ახალგაზრდათა მოძრაობის შემსწავლელ წრეებში.

ასე ამ რიგათ ლეგიონში არსებული ჯგუფების მუშაობა თანდათან უმჯობესდება. უფრო ნაყოფიერია პირველი და მეორე ჯგუფების მუშაობა, რადგან ესენი ჩამოყალიბებულ იქნა მიმდინარე წლის 10 იანვრიდან. მესამე ჯგუფი კი ჩამოყალიბდა 9 აპრილს.

ჭანტურიშვილი.




## ჩვენც ვემზადებით საბანაკოთ.

ჩვენმა ლეგიონმა ერთი კვირით ადრე დაიწყო მზადება საბანაკოთ გასვლისთვის. დღეის მთელი ყურადღება ლეგთავსამხკომისა მიქცეულია აქეთ და სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა საბანაკოთ გასასვლელათ.

ამ მოკლე დროში ბანაკის დამზადება დამთავრდება და ჩვენი ლეგიონი გავა 15 მაისისთვის, სადაც მოვერთობით, მოეკაზმებით და შეუდგებით ჩვენს საქმიან მუშაობას.

სამხეო ნაწილიც ამ დარგში დიდ ენერგიას ხარჯავს. ის წინასწარ ამზადებს წყლის მილებს, ქუხნებს, სასადილოს შენობებს და სხვა, რათა შარშანდელი მდგომარეობა არ განმეორდეს. წინასწარ მუშაობამ ლეგიონს მისცა კარგი შედეგი. ეს დიდი მიღწევაა ამ დარგში, რითაც ჩვენ ხელს უწყობთ წითელ არმიელთა კანონიერ აღზრდის საქმეს.

წ. მოლაშქრეები დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით ემზადებიან საბანაკოთ გასასვლელათ.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## ჩვენი სამხედრო საქმიანობიდან.

მე-6-ხე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში სამხედრო ხელოვნების განმტკიცებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ამ მიზნით დაარსებული იქნა ლეგიონში **სამხედრო სამეცნიერო წრე**, რომელმაც თავიდანვე მიზნათ დაისახა სხვადასხვა სამხედრო საკითხების მეცნიერულად გაშუქება, უფპოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობის შორის.

სისტემატიური და საერთო იდეიურ ხელმძღვანელობისათვის წრემ თავის შემადგენლობიდან გამოჰყო აქტიური და სათანადოთ მომზადებული ხუთი წევრისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

წრის წევრებს შორის უკვე დაიწყო ნებაყოფლობითი და შეგნებული მუშაობა, პრეზიდიუმის მიერ დავალებულ სხვა და სხვა სამხედრო საკითხების დასამუშავებლად.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ მეტი მონდომებული მუშაობით შევსძლებთ ამ დიად საქმის სათანადოთ დაბოლოვებას.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ძლიერ ჩამოვრჩით.

მეხუთე ლეგიონი.

2 მაისს 2-რე დივიზიის კლუბში მესამე ლეგიონის დრამატიულმა წრემ გამართა წარმოდგენა. წრემ დასდგა რევოლუციონური პიესები და შემდეგ კი წითელ არმიელების მონაწილეობით მოეწყო ცოცხალი გაზეთი.

აღნიშნულ საღამოს დაესწრო მეხუთე ლეგიონის სცენის მოყვარე არმიელებიც.

უცქეროდით ჩვენი ამხანაგების ენერგიული და მონდომებული მუშაობის ნაყოფს და გული გვიკვდებოდა, რომ ჩვენი დრამატიული წრე და საზოგადოთ საკლუბო მუშაობა ასე მიძინებულია.

ერთ ხანს ჩვენი დრამწრე ისე კარგად იყო მომზადებული, რომ სხვა და სხვა ადგილებშიდაც კი გვიწვევდენ წარმოდგენების დასადგმელად, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაგვიმხნეს კლუბის ახალი გამგე, მუშაობა სრულიად ჩაკვდა.

უმთავრესად ეს ეტყობა წრეებს.

ლეგიონში არსებობს შემდეგი წრეები: სამხკორთა, ლენინიზმის შემსწავლელი და აგრონომიული წრე. სამხკორთა წრის მეცადინეობა ორ თვეში ერთხელ თუ შესდგება ხან სულაც არა.

რაც შეეხება ლენინიზმის შემსწავლელ წრეს, პირველ ხანებში აქ სისტემატიურად სწარმოებდა მეცადინეობა კომისრის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეხლა მას აღარ სცალია და მუშაობაც ჩაკვდა.

აგრონომიული წრე კი სულ ორჯერ გამოჩნდა და მუშაობის ასპარეზზე და შემდეგ სრულიად აღარაფერი ისმის მის შესახებ.

დრამატიული წრე ხომ ვერაფერს აკეთებს, მიზეზად მოჰყავდათ კლუბის შეკეთება, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა.

ეს არ არის გასამართლებელი მიზეზი.

საჭიროა კლუბის გამგემ გამოაფხიზლოს მუშაობა.

სამხკორი მ—სკი.

## წერილი ახალწვეულებს.

ამხ. ახალწვეულებო!

მოგესალმებით ძველი წითელ-არმიელების სახელით და ვეცდები გაგაცნოთ მოკლეთ გაზ. „წითელი არმიელი"-ს საშუალებით ჩვენი ცხოვრება.

ჩვენ როდესაც გამოგვიწვიეს სამხედრო სამსახურში, იმ დროს ჩვენთან ერთათ თქვენც იმყოფებოდით, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო თქვენ იქენით დატოვებული დროებით.

გამოწვევის დროს დადებითად გვიხასიათებდენ ჩვენი წით. ჯარის ცხოვრებას, მაგრამ ჩვენ ეს არ გვჯეროდა, რადგან გაგონილი გვქონდა ძველი ჯარის აუტანელი ცხოვრება და სხვ. ჩვენ გვეგონა თუ კიდევ ისევე იქნებოდა.

მაგრამ როდესაც მოვედით ნაწილებში აქ სულ სხვანაირი მდგომარეობა ვიგრძენით. მეტად გაგვაოცა იმ მდგომარეობამ, როდესაც დამხთურმა მეთაურებმა მოგვკიდეს ხელი და წაგვიყვანეს წით. ყაზარმებში. დავრწმუნდით, რომ ჩვენი მეთაურები ყოფილან მშრომელი ხალხის სკოლიდან გამოსული ჩვენივე ამხანაგები. ისინი გვეპყრობიან ისე, როგორც ეს შეეფერება ნამდვილ წით. ჯარის მეთაურებს.

ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება მუდამ იმას სცდილობს, რომ გაანვითაროს და დააწინაუროს ყველა წით.-არმიელი, როგორც სამხედრო სამსახურში, ისე პოლიტიკურათ. ბევრი მასწავლებლები არიან აგრეთვე ჩვენს სასწავლებლათ.

ჩვენ გვჭირია სწავლა, იმისათვის, რომ შევსძლოთ ყოველმხრივ ჩვენი მტრების დამარცხება.

ჩვენ არ გვინდა ომი, ამას ვიძახით ჩვენ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ სახელმწიფოებში ბატონობს ბურჟუაზია და ტყავს აძრობს იქაურ მუშებსა და გლეხებს. ამისათვის საჭიროა ვართ ჩვენ მანამ, სანამ არ მოისპობა მთელ მსოფლიოში ბურჟუაზიის ბატონობა და არ დამყარდება მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ამხ. ახალწვეულებო!

ის მოვალეობა, რომელიც დღეის შემდეგ დაგეკისრებათ თქვენ, ყოფილიყოს მტკიცეთ და უცვლელათ შესრულებული და არ ქონოდეს თქვენში ადგილი მუშურ-გლეხური ხელისუფლების ღალატს, რომელიც გამოიხატება დეზერტირობაში და სხვა.

გაუმარჯოს ჩვენს წით. არმიას, რომელმაც მოიპოვა წით. სისხლით წით. ოქტომბერი და შეჰქმნა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზედ მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ძველი წით.-არმ.

მიხო ცქიფურიშვილი.

## ნუ დასტოვებთ უპატრონოდ.

ამას წინად გაზეთ„ წითელ არმიელში" მოთავსებული მქონდა წერილი, სამი წითელი არმიელის შესახებ, რომლებიც მიმაგრებული არიან 1-ლი ლეგიონიდან ქ. სიღნაღის სამხ. კომისარიატში.

ეს ამხანაგები ითვლებიან კომისარიატში 19—იანვრიდან; თითქმის ოთხი თვე გადის მას შემდეგ რაც მათ ამ ხნის განმავლობაში არ მიუღიათ, არც ჯამაგირი, და არც სხვა კმაყოფა.

მათი რჩენა უხდება 6-ლეგ. მეცხრე ასეულს.

ბრძანების თანახმად ისინი ყველაფრით გარდა ჯამაგირების უნდა დაეკმაყოფილებიამე 65-კავ. ცხენოსან ლეგიონს. ხოლო ჯამაგირი კი უნდა ეძლია მათთვის პირველ ლეგიონს.

ხსენებული ცხენოსანი ლეგიონი არმიელებისათვის არაფერს გვაძლევს პირველ ლეგიონს ხომ სულ არ ახსოვს ისინი. ამნაირად გარდა ტანსაცმელით და ფულით კმაყოფისა მათი შენახვა თავის ხარჯე უხდება ჩვენს ასეულს. მათ ძლიერ უჭირთ. პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი და ჩამორჩენილი არიან.

მართალია ჩვენი სამკითხველოდან ვაწვდით ამხანაგებს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ რა იქნება უხელმძღვანელოდ?

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ არმიელებს და შესაფერი ზომები იქნეს მიღებული მათ დასაკმაყოფილებლად.

დ. ჭანკვეტაძე.

## მოგვეცით დალაქი.

პირველ ლეგიონს ყავს ერთი დაქირავებული დალაქი. მესამე ბატარეიაში ხსენებული დალაქივალდებულია მოვიდეს კვირაში ერთხელ და გაკვპარსოს თავი და წვერი.

მაგრამ უკვე სამი კვირა გადის და დალაქს ვერ ვხედავთ ჩვენს ნაწილში. ბატარეიის წითელ არმიელები რჩებიან გაუპარსავი და იძულებული არიან მიმართონ კერძო დალაქებს, რომლებიც ბევრ ფულს ღებულობენ.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ჩვენმა უფროსებმა სათანადო ყურადღება.

უკვე ზაფხულია და გაუპარსავათ ყოფნა შეუძლებელია.

მოგვეცით ერთი დალაქი, კვირაში ერთჯერ მაინც.

წით. არმ. ძირულელი.

## დაუშვებელი საქციელი.

**(პირველი სამილიციო უბნის უფროსის საყურადღებოთ)**

მაისის 7, ღამის 12 საათზე პირველი უბნის მილიციელმა (გვარი ვერ გავიგე) ძმები ტანტების ცირკის აივნიდან ძირს გადმოაგდო ერთი მოქალაქე, რომელიც 10 წუთზე მეტი ეგდო მიწაზე გაუნძრევლათ. ამას შემდეგ ჩამოვარდა მილიციონერი, დაავლო ხელი ხსენებულ მოქალაქეს, წამოაყენა ზეზე, აუყვირდა ხმა მაღლა, ბოლოს ამოჰკრა ფეხი და გააგდო. საწყალმა მოქალაქემ ხმაც კი არ გასცა მას და გასცილდა.

ამ სურათის მაყურებელმა, მე მიუახლოვდი მილიციონერს და უთხარი; რატომ გადმოაგდეთ ეგ კაცი და რატომ სცემეთქო. მილიციონერმა შეკითხვაზე მიპასუხა: ეს, შენი საქმე არ არისო. ასეთი საქციელი არ შეეფერება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წესიერების დამცველს—მილიციონერს.

1-ლმა უბანმა ამ მდგომარეობას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება.

წით. არმიელი: **ხმიადაშვილი.**

## საქ. სახალხო კომისართა საბჭოში.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** მოწონებული იქნა გეგმა საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ და ეთხოვა ა. კ. სახკომსაბჭოს გიღოს ამ მიზნით 15 ათასი მანეთი.

— **ბიუჯეტის განხილვა.** დაევალა განსაკუთრებულ კომისიას ამხ. ს. ჯუღელის, შ. მათიკაშვილის, თ. ღლონტის, დ. კანდელაკის და გ. კუჭაიძის შემადგენლობით განიხილონ ა. კ. ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი საქართველოს 1925 26 წლ. ადგილობრივი ბიუჯეტი.

— **დახმარება ხევსურეთს.** მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გადაწყვეტილია 50 ათასი მანეთის გაღება ხევსურეთის დასახმარებლათ. სათანადო გეგმის გამომუშავება დაევალა სახ. საგეგმო კომისიას.

— **ჯანმრთელობის სახ.** კომისარიატის წარმოდგენილი პროექტი საექიმო-სასანიტარო დაწესებულებებთან სპეც. ფონდების დაარსების შესახებ მოწონებულ იქნა.

— **კინო-თეატრების ბილეთებზე** შემოღებულ იქნა 10 პროცენტიანი დანარიცხები, საქ. წით. ჯვრის, ალმასკომის და სოც. უზრ. კომისარიატის სასარგებლოთ.

— **საქ. წითელი ჯვრის** საზოგადოების, ვენის საერთაშორისო ჰიგიენურ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ სახკომსაბჭომ დაადგინა გადასდოს 8 ათასი მანეთი.

## ამბები სოფლებიდან.

**სესხის მიცემა კომუნებს.**

თელავის ალმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სას-სამეურნეო ბანკის წინაშე სოფ. შაშიანისა და ურიათუბნის კომუნებისათვის სესხის მიცემის შესახებ.

**სკოლის შესაკეთებლათ.**

სოფ. ვანთის (თელავის მაზრა) მცხოვრებთა საერთო კრებამ დაადგინა გაყიდონ საფონდო უვარგისი მარანი და სამაგიეროთ შეაკეთონ ადგილობრივი სკოლა.

**გლეხკომის მუშაობა.**

სოფ. საქობოს გლეხკომმა მოაწყო ალაზანზე ბორანი, გახსნა საკასრე სახელოსნო და აწარმოებს შეშის დამზადებას.

**ბანკის სააგენტო ჭიათურაში.**

შორაპნის ალმასკომმა სასურველად სცნო ჭიათურაში სახელმწიფო ბანკის სააგენტოს გახსნა.

**სათესლე სესხი.**

შორაპნის ალმასკომმა უკვე გაანაწილა მთავრობის მიერ გადადებული 9.500 მანეთი, გლეხებისათვის სათესლე სესხის სახით დასარიგებლათ.

**ზარალი ჭირისაგან.**

თელავის მაზრაში გასულ ზამთარში ჭირისაგან დაიხ. 90 სული მსხვილფეხა საქონელი. ზარალის ღირებულება უდრის 4.050 მანეთს.

**მოსავალი სიღნაღის მაზრაში.**

სიღნაღის მაზრაში მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. უკანასკნელმა გვალვებმა ოდნავ შეაწუხა ნათესები.

**ვენახების დაზარალება.**

დიდი ყინვებისა და ცუდი ზამთრის გამო თელავის მაზრაში დაზარალებულა 1.500 დესეტ. ვენახი.

**იარაღ-მანქანების შესაძენათ.**

სიღნაღის სამზრო გლეხკომს განზრახული აქვს აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე გლეხკომებისათვის სესხის მიცემის შესახებ სას.-სამეურნეო იარაღების შეძენის მიზნით.

**აგარაკის მოწყობა.**

ლაგოდეხის სათემო გლეხკომმა უკვე მოაწყო გოგირდის აბანოსთან აბაზანები და ბინები.

**კომუნა „წინსვლა".**

შორაპნის ალმასკომმა დაამტკიცა კომუნა „წინსვლა"-ს წესდება და ხელშეკრულება. კომუნა შეადგინეს სოფ. ალავერდის გლეხებმა.

**საკრედიტო ამხანაგობა სოფლათ.**

ქუთაისის სას-სამეურნეო ბანკის განყოფილება სოფ. კაცხში (შორაპნის მაზრა) ხსნის საკრედიტო ამხანაგობას.

## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 24.**

ოთხ კუთხიანი ოთახის თითეულ კუთხეში სდგას თითო კატა. ამ თითეული კატის პირდაპირ კიდევ თითო კატა და კიდევ თითეული კატის კუდზე თითო კატა.

სულ რამდენი კატა ყოფილა ოთახში?

## ახალი ამბები.

— **წითელ არმიელთა ცენტ. კლუბში** სამშაბათს გაიმართება სანიტგანათლების წარმოდგენა. წითელარმიელთათვის და მუშებისათვის შესვლა უფასოა.

— **დახმარება მუშების საავათმყოფოს.** საექიმო დახმარების განყოფილებამ (ჯანსალკომი) ტყიბულის საავათმყოფოს ერთდროულ დახმარებათ მისცა 1000 მან. და თეთრეული.

— **საფოსტო ყუთები ავტომობილზე.** ყველა საფოსტო ავტომობილებზე ფ.-ტელ. კომისარ. დადგენილებით მოწყობილ იქნება საფოსტო წუთები.

— **ფოსტის უფრო სწრაფი** მუშაობის მიზნით გადაწყვეტილია ყველგან, სადაც ცხენით აწარმოებენ ფოსტის გადაზიდვას—შემოიღონ ავტომობილები და მოტოციკლები.

— **მასწავლებელთა კურსები.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გახსნას ზაფხულის განმავლობაში 4 წლ. შრ. სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები რესპუბლიკის ყველა მაზრებში.

— **სიძველეთა დაცვა.** სიძველეთა და ისტორიულ ძეგლთა დამცველმა კომიტეტმა დაადგინა ყველა ძეგლებზე გააკრას განცხადებები მათი დაცვის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ.

— **რამდენი საქონელი დაიკლა.** აპრილის განმავლობაში ტფ. სასაკლაოზე დასაკლავათ შემორეკილ იქნა 12.579 სული საქონელი.

— **ტრამვაის მოძრაობის** შესამსუბუქებლათ ტფ. ტრამვაის დირექცია ჰფიქრობს ტრამვაის მოსახვევების გადაკეთებას.

— **თფილის—კავკავს** შორის ფოსტის გადაზიდვა მაისის ბოლოდან დაიწყება ავტომობილებით.

— **შრომის კოლექტივები სოხუმში.** შრ. სახ. კომისარიატმა სოხუმში დაარსა 5 შრომის კოლექტივი, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით.

### შემთხვევები.

— **წითელ არმიელს მეტი სიფრთხილე მოეთხოვება.** 15 მაისს ანდრეევის ქუჩაზე წითელ არმიელმა ტარასოვმ ფურგონი დაახა მიმავალ აბულაძის ქალს, რომელიც საგრძნობლათ დაშავდა. დამნაშავე შეიპყრეს.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**სამზარეულო ღუმელი საჰაერო ხომალდზე.**

საჰაერო ხომალდ „შენანდოაზე" მოწყობილი იქნა სპეციალურად აშენებული სამზარეულო ღუმელი.

ღუმელი მუშაობს ელექტრონული ენერგიით და განირჩევა თავისი სიმსუბუქით და მცირე სიდიდით. სამზარეულო მთელი მოწყობილობით იწონის 100 კილოგრამს. სიგრძე მეტრ ნახევარი, სიმაღლე ერთი მეტრი, თითქმის ამდენივეა სამზარეულოს სიგანე. ელექტრონაკადი საშვალებას იძლევა ღუმელის შიგნით მუდმივად იქნეს დაცული ცეცხლის 2200 გრ. სიცხე, როდესაც ჰაერში ტემპერატურა დაწეულია 0 გრ. ქვევითაც.

გარედან ღუმელი შემოკრულია სპეციალურ დაწნეხილ სითბოს-დამკავებელ მასალით.

ელექტრო ნაკადი მიიღება ღუმელში 220 ვოლტის დინამოსაგან, რომელიც მოძრაობაში მოდის ბენზინის პატარა მამოძრავებლით. ღუმელში თვალის დახამხამებამდე შეიძლება დამზადებული იქნეს 30 კაცისათვის საჭირო სადილი.

**როგორი საჭმელი უნდა მიიღოს დედამ, რომელიც თავისი ძუძუს-რძით კვებავს ბავშვს.**

ამერიკელმა ექიმმა ედერიმ დაწვრილებით შეისწავლა, თუ როგორი საჭმელი უფრო უწყობს ხელს დედის ძუძუში რძის დიდი რაოდენობით გამოყოფას. გამოირკვა, რომ ბევრი საჭმელი მაინცა და მაინც არ უწყობს ხელს რძის უხვად გამოყოფას. უმთავრეს როლს ამ შემთხვევაში თამაშობს ცილეული საჭმელები, ე. ი. ხორცი, კვერცხი და ყველი: რამდენადაც ეს ნივთიერებანი მეტი მოიპოვება საჭმელში, იმდენად უფრო უხვად გამოიყოფა რძე. ამასთანავე რძე უფრო კარგი ხარისხის და ვნებელია ბავშვის ჯანმრთელობისათვის.

**სათვალეები, როგორც კიბოს გამომწვევი მიზეზი.**

ცნობილია, რომ ერთი და იმავე ადგილის სისტემატიური და ხანგრძლივი გაღიზიანება იდამიანის ორგანიზმზე, იწვევს ამ ადგილზე კიბოს.

მაგალითად ცნობილია, რომ ჩიბუხით თამბაქოს მწეველებს ხშირად უჩნდებათ ქვედა ჩარბზე კიბო.

სპეციალური შეხედულებაც კი არსებობს, რომ კიბოს მხოლოდ და მხოლოდ გაღიზიანება იწვევსო.

ამ უკანასკნელ ხანებში საზღვარ გარედ ძლიერ გახშირდა კიბოთი დაავადმყოფების შემთხვევები იმ მოხუცებში, რომლებიც ატარებენ სათვალეებს. კიბო უჩნდებათ სწორედ თავისით იმ ადგილზე, სადაც სათვალეები ზედმეტად აღიზიანებენ კანს. ასეთი შემთხვევები მიყვანილია საზღვარგარეთულ მთელ რიგ სამეცნიერო ჟურნალებში.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ივ ბარელაძეს.** თქვენი კორესპონდენცია „როგორ ... ქმედობენ ჩვენი ქაშკრის დღიურები", გად... ლეგიონის სამხკომს სათანადო ზომების მისაღებ...

**ამხ. წიწაკას.** კორესპონდენცია „ლენინის ანდერძების სა... რაჯოზე" არ გავა. ასეთი ხასიათის წერილი თ... ნი ნაწილიდან უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. თალიკოს და შანშიაშვილს.** წერილები „ჩვენც წი... ლი მოლაშქრეებათ ვითვლებით", „წითელი არმ... სოფელთან კავშირი" გამოდგება ადგილობრივ... დლის გაზეთებისათვის.

**ამხ. მაღლაკელიძეს.** თქვენი კორესპონდენცია „პირვე... ლეგიონის საკლუბო მუშაობიდან" არ დაიბეჭდ... ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. მიხო საწირელს და ულტიმატუმს.** თქვენი წერილ... „ჩვენს რიგებში არ უნდა მსახურებდეს" და „დ... მიექცეს ყურადღება ასეთ საქციელს", გად... პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. ხიშტს.** თქვენი წერილი „ლოდინი" გამოდგება ად... ლობრივი კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. წიწაკას.** კორესპონდენციები: „შევიძინეთ კლუბი"... „სასროლო მოედანზე გამგზავრება" არ დაიბე... ბა. პირველის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში, ხო... მეორე არ გამოდგა.

**ამხ. აჩხეტელს.** პატარა ფელეტონი არ გამოდგა.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლ...

## განცხადებები

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ქართულ ტერლეგიონის № 1 კომუჯრედში მოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატათ გად... რიცხავათ შემდეგ ამხანაგებს:

1. ხვედელიძე შალვა იასონისძეს უპარტიო ათის თ... მიწის მუშა—1 კლასის განათლებით.

2. აბრამიშვილი იოსებ კომკავშირის წევრი—1... წლიდან, წითელი არმიელი მიწის მუშა 2 განყოფილების ... ნათლებით—შორაპნის მაზრის სოფელ სარეკში მც... რებს.

3. ამერიძე ნიკოლოზ არტემის ძე უპარტიო დაბადე... ლი—1892 წელში ათის თავი— მიწის მუშა განათლე... შინაური.

4. ეჯიბია ავქსენტი შამშეს ძე უპარტიო დაბადებუ... ახალ სენაკის მაზრის სოფელ სახარბედიოში—ათის თავი—... წის მუშა 1 კლასის განათლებით.

5. ტერ-გევანოვი ნიკოლოზ ივანეს ძე კომკავშირის წ... რი 1924 წლიდან თბილისში მცხოვრები და დაბადებულ... ათის თავი მიწის მუშა-მოსამსახურე 2 კლასის განათ... ბით.

აღნიშნულ ამხანაგებს თუ ვინმე სცნობს და აქვს... თანადო უარყოფითი დამახასიათებელი მხარეები ვსთხოვ... გვაწვდინოს საჭირო ცნობები ორი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით თბილისი—მე-6-ე ლეგიონი (კუკიის ზარმებში) № 1 კომუჯრედს.

**უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი**
**ქ. სტურუა.**

ღრმად დამწუხრებულნი იასონ და სევერიანე ისიდორეს ძე ჭკუასელები და მათი და სოფია ისიდორეს ასული ჭკუასელი აცნობებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამა თვის 15-ს დილის 6 საათზე, ქალაქის I საავადმყოფოში, გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორეს და მესამეს საყვარელი რძალი

### ჩირო (ლიუდმილა) ლეონტის ასული წიქორიძე—ჭკუასელისა.

გამოსვენება მოხდება საკ. ბინიდან წყნეთის ქუჩა სახლი № 13 სამშაბათს ა. თ. 19-ს სრულ 15 საათზე, ვერის სასაფლაოზე.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.